

საქართველოს უცხოულის

სურათის განვითარების

გაზითის № 104

დამატების № 19

გვირა, 5 ოქტომბერი 1914 წ.

მოგარენი

ისტორიული მოთხოვა.

(ი. სურათების დამატება № 18.)

რა თქმა უნდა, გენერლები: გა-
გარინი და კოლიუბიაკინი ერთი
აზრით, ერთი მიზნით იყვნენ გამს-
ჭვალულნი... მაგრამ კოლიუბიაკინი
პირადადაც გრძნობდა დედოფლის-
გან თავს შეურაცხყოფილად, ამი-
ტომ მოინდომა ჯიქურ მიეტანა
დედოფალზე იერიში, რომ ერთის
დაკვრით დედამიწასთან გაესწო-
რებინა... გაგარინს კი მიპარვით უნ-
დოდა ფეხი დაეჭრა მეწველ ფუ-
რისთვის. ამ სახით, კერძო ინტე-
რესმა, ერთის გზით მიმავალი გე-
ნერლები რამდენიმედ დაშორა ერ-



† მაკითანი ლევან გაგაშვილი, გარდაიცვალა,
შრძნლის დროს მიღებულ ჭრილობებისაგან.

უწყის ჩიქოვანები, რომელთაც
ხელთ ჩაუგდიათ, მართველობაში
მეტად სუსტი დედოფალი, თავი-
ანთ გემოვნებაზე ატრიალებენ ხალ-
ხის ბეჭ-ილბალს: ადგანა ისეთს
სასტიკ ზომებს, იჩენენ ისეთს უნი-
ჭობას მართველობაში, რომ მათი
ხელის დაფარება ყოვლად შეუწყის-
ყნარებელ დანაშაულად უნდა ჩა-
თვალოს. დანაშაულობად იქმნება
აგრედვე, რომ ხალხის ცხოვრების
სრულიად უცოდინარ დედოფალს
მიენდოს თვით სულიერადაც დაწყლულებული ხალხის განკურნება!..
რითი უნდა განიკურნოს ეს ერთობ-
ლაბებავებული ხაოხი, რომელიც
მეზობლად იმერეთში და გურიაში
შეპყურებს სახარბიელო მართველობას რუსეთის კანონით დამყარებულს? საშუალება ერთად-ერთია.



დამწვარი ქართული თეატრის გადარჩენილი წინაპირი (ზედა ნაწილი, ცეცხლისაგანაა გა-
შავებული, ასანჯრის მოხსინე თეატრის შიგნით ნანგრევები).

თი-მეორეს, თუმც მიზანი მსვლელობისა თრივესი ერთი იყო. ამ მი-
მართულებით ამოძრავებულმა კოლიუბიაკინმა, თავისი მრისხანე მოხ-
სენება არ გააცნო გაგარინს.—„ოდიშის ამბოხებაო, —სწერდა, სხვა-
თა შორის, ის თავის მოხსენებაში,—მებატონეთა არა ადამიანური
ქცევით არის გამოწვეულიო. არ შეიძლება ამბოხების ჩაქრობაზე რა-
მე ითქვას იქ, სადაც ჯაჭვები, ხუნდები, ქანქები და სხ. საზარელი
იარაღები, ხალხის დასატანჯავად გაჭიდილნი, დაუბრკოლებელ ხმა-
რებაში არიან; სადაც ბატონები ჩალის ფასად ჰყილიან თავიანთ ყმებს
და სადაც ადამიანი პირუტყვზედაც დაბლა დაუყენებიათო... ყოვლად

შეუძლებელია, დროებით მაინც, არ შეიცვალოს ოდიშში მართვა-
გამგეობა რუსის კანონების შეტანით... ეს კითხვა იმდენად მომწიფე-
ბულია, რომ დახმარების დაშორებულ დროისთვის გადადება, მეტად
გამწვავებულ მდგომარეობას გამოიწვევს შემდეგო“.

ამავე დროს გაგარინი სწერდა მოხსენებაში, რომ და-
ვახმაროთ ოდიშის მართველს რამდენიმე რუსის მოხელე, რომ იქ
ცხოვრება თავის კალაპოტშვე ჩაძღვეს.

რომელი ერთისთვის უნდა მიეცა მეფის მოადგილეს უპირატე-
სობა? მართალია, გაგარინს უფრო პასუხსაგები ადგილი ეჭირა, მაგ-



დამწვარი ქართული თეატრის საზამთრო დარბაზი.
(გადალებულია საზაფხულო თეატრიდან).



დამწვარი ქართული თეატრის სცენის ნაგრევები.

რამ არ შეიძლებოდა კოლიუბიაკინის აზრისთვისაც ანგარიში არ გა-
ეწიათ. ასე იყო თუ ისე, მეფის მოადგილემ მოისურვა უფრო მავარს
ნიადაგზე დაუდგა ფეხი და ამ აზრით თავის სამართველოს შევრთა-
განს—დიუკრუს—მიანდო საქმის საფუძვლიანად გამოძიება, რომელ-
საც ადგილობრ—ოდიში უნდა გამოეძია, თუ რას გამოეწვია ამბო-
ხება და რას შეეძლო იმის ჩაქრობა... დიუკრუს მოვიდა ოდიში, ეწ-
ვია პირველად დედოფალს—გორდში, დაპირდა საქმის გამოძიებას
მის სასარგებლოდ, შემდეგ წამოვიდა ქვაშობოს და შეუდგა საქ-
მეს... მაგრამ ამდენადაც წინ მიდიოდა გამოძიება, იმდენად აწმუნ-
დებოდა, რომ დედოფალს პირიბას ვერ შეუსრულებდა... პირველმა-
ვი დღემ აღმოაჩინა, რომ ოდიშის საქმეები დომხალვით იყო არე-
ულ-დარეული: დედოფალი უჩიოდა მაღალ წოდებას და ხალხს, მა-
ღალი წოდება—დედოფალს და ხალხს და ხალხი კი ორივეს ერთად: პირველი დასტუროდა დაკარგულ სამოთხეს, მეორე ანთხევდა შხამსა
და გესლს და მესამე კი იბრძოდა ადამიანური უფლებისთვის. ხალხი
აცხადებდა, ასაბუთებდა და ამტკიცებდა ისეთს საზიზღარ საჩივრებს
დედოფალზე და მაღალ წოდებაზე, რომ არ შეიძლებოდა ის სხვილი
ასოებით არ ჩაწერილიყო საქმის ქალალდებში... ყალყზე შემდგარი
მაღალი წოდებაც არ უვარდებოდა ამ მხრით ხალხს ამტკიცებდა დე-
დოფალს, რომ ის, როგორც მართველი, უნიჭო იყო; მოჰყავდა იმისი
საბუთები და ამზეურებდა ჭუჭყიან საქმეებს... მაღალი წოდება ამ
გზით ელოდა ხსნას!.. ამ სახით, დიუკრუსაც აღნიშნა, რომ გაგარი-
ნის გეგმას არა თუ არ შეეძლო შევიდობა და სათონება დაემყარე-
ბინა იდიში, შესაძლოც იყო უფრო მეტად გაემწვავებინა მდგომა-
რეობა. ამიტომ ის მიემხრო კოლიუბიაკინს და იმანაც დაასკვნა, რომ
საკირაო დედოფალთან მოლაპარაკება, რომ მას დროებით დაეტოვე-
ბინა იდიში, სანამ რუსის მთავრობა კვლავ ისევ არ აღადგენდა
მშვიდობიანობას.

ბარიათინსკიმ მოიწონა ეს აზრი და შეუდგა საქმეს, მაგრამ
დედოფალმა შორს დაიჭირა თავი: პირველად თუ კიდეც მოისმინა
მეფის მოადგილის წინადადება, ოდიშიდან გასვლის შესახებ, ესეც
შეურაცხყვად მიიღო და გადაჭრილი უარიც შეუთვალა, ხოლო მეო-
რედ-მესამედ გამოგზავნილ წარჩინებულთ ამ საქმეზე ლაპარაკის ნე-
ბაც არ მისცა... ის, როგორც მთავარი და რუსეთის მეფესთანაც და-
ახლოვებულ-დამხანაგებული, თავის-თავს გაშორებით მაღლა აყე-
ნებდა მეფის მოადგილეზე და თავს ნებას არ აძლევდა პასუხი გაე-

ცა ისეთს კითხვებზე, რაც, მისი აზრით, მეფის მოადგილეს სრულიად
არ ეკითხებოდა... მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა: მეფის მო-
ადგილებ შეადგინა გეგმა ოდიშის ახალი მართვა-გამგეობისა, დრო-
ებითი მართველად—დედოფლის მოადგილედ—დანიშნა გენერალი
კოლიუბიაკინი და დაავალა მოხელე პირები თავისი სურვილით და-
ენიშნა. ამ სახით მთელი ოდიში გაიყო: ზუგდიდის, სენაკის და ლეჩ-
ხემის ოლქებად და თითოეულ მათგანში დაინიშნა ოლქის უფრო-
სებად: პირველში, მცოსანი—რაფიელ ერისთავი, მეორეში—რუსი და
მესამეში—მიქელაძე. ამის შემდეგ დედოფალი უბრალო მემამულედ
დარჩა იდიშში. მას არა თუ არ ჰქონდა უფლება ხალხის მართვა-
გამგეობისა რამე ეთქვა. არამედ თითონაც რუსისთვის უნდა მიე-
მართა საჭიროების დროს, რაც მეტად მძიმე ასატანი, მეტად დიდი
დამცირება იყო მისთვის, მაგრამ რა ექმნა? გარდა ჩიქოვანებისა, თა-
ნამგრძნობი არავან ჰყავდა და ამ უმნიშვნელო ძალით რას გახდე-
ბოდა!.. როგორც დედოფალს ოდიშში რუსი, არც რუს-მართველს
მოსწონდა დედოფალი იდიშში; ისიც, თითქო თვალში სარი ამოს-
ვლია, სწუხდა და იტანჯებოდა დედოფლის სიახლოეთი; უნდოდა
თავიდან მოეშორებინა, მაგრამ ყოველ საქმეს მიზეზი უნდა და დე-
დოფლის სამშობლოდან გაძევებას კი — მით უმეტეს!.. ერთის სიტ-
ყვით, ორივესთვის იდიშში ბინა არ იყო, ერთ-ერთი უნდა გასცრო-
და ამ საბურთაო მოედანს, მაგრამ რომელი? რა თქმა უნდა ის,
ვინც უძლებო იყო! ეს ასეც მოხდა: სოფ. სოფ. გორდისა და ზანაში
მოხდა შეიარაღებული შეტაკება რუსის ჯარსა და აღილობრივ
მცხოვრებთა შორის, რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, გათავდა
რუსის გამარჯვებით, მაგრამ საქმის მოწყობა კი ჩიქოვანებს დაატ-
ყდა, საიდანაც აიღეს სუნი და კვალი დედოფლამდე მიტანეს. აქე-
დან გაიჩარხა საწადელი საქმეც: თავადი ივანე ჩიქოვანი (მმა სახლო-
უბუცესისა), როგორც მეთაურ-მომწყობი შეტაკებისა, რუსეთს გა-
დაასახლეს და დედოფალზე შეადგინეს ოქმი, რასაც მოჰყავა უმაღ-
ლესი რესარიბტი დედოფლის სახელზე, რომლით, დედოფალი თავისი
შეილებით, მიწვეული იყო რუსეთში... ეს იყო უკანასკნელი გაქნევა
მახვილისა, რომელმაც ორივე ფეხები დააჭრა ოდიშის თვითარე-
ბობას; ეს იყო უკანასკნელი ისარი, რომელმაც შუა გააპო გვირგვი-
ნი იდიშის თვითარებობისა და ეს იყო უკანასკნელი ზარიც, რო-
მელმაც აცნობა ხალხს დასაფლავება ოდიშის სამთავრო ტახტისა...
მაგრამ დედოფალი გულს არ იტებდა: მის მიერ დაღვრილ ცრემ-

ქართული დრამ. საზ. დასი სეზონი 1914--1915 წ.



გ. აბაშიძე



ეფ. ჭხეძე



ნ. ჩვენძე



გ. ჩერქეზიშვილი



დ. გურგენიძე



ა. იმრიკაშვილი



დ. ჯორჯაძე



ალ. წუწუნავა



ნ. ზარდალიშვილი



ა. ყალაბეგიშვილი



ა. შანთაშვილი



ლოლოვა



მიქელა ჭიხლაძე



ა. ქიორგი გ. გიორგი ა. შოთაძე



გ. ჭონისპირელი



ს. ჯავანიშვილი



გ. ვაშნაძე



დ. ძგიბაშვილი



გ. ჭონისპირელი



ა. ალულიშვილი



გ. გომელაშვილი



ნ. მამულაშვილი



გ. სარაული



გ. ჭიათურელი

ლთა გუბქს ზედ მოეტივტივებინა ერთგვარი იმედის აჩრდილი: ის ფიქრობდა, რომ თავს შეაბრალებდა მეფეს და კვლავ ისევ დაიბრუნებდა დაკარგულ ედებს... ამ სიზმრით გატაცებული დედოფალი მზადებას შეუდგა: მოიყვანა ცნობაში თავისი შვილების მამული, ყმები და მთელი უძრავ-მოძრავი ქონება, დანიშნა აპეკუნად ცნობილი მოღვაწე — დიმიტრი ყიფიანი და 25 ოქტომბერს 1857 წ., თავისი შვილებით, გაემზარა, ზღვით, რუსეთს.

XII

ერთ დილას სენაკის ოლქის უფროსის წინ იდგა თავადი კოწია გერია, რომელმაც გააცნო თავისი-თავი უფროსს და აცნობა რომ ოდიშის ამბოხების მთავარი მეთაურთავანი იყო ყმა — დავით გიდელია.

— „არ ვიცი, გიშერიათ თუ არა სიაში ეს გიდელია, მაგრამ ის კი ცხადია, ნამდვილი ჭეშმარიტებაა, რომ ამბოხების მთავარი მიზეზი ის იყო; იმან აშალა ოდიში, იმან ჩაუდგა უგნურ ხალხს თავში ოდიშში ჯერ კიდევ გაუგონარი აზრი, იმან შეშალა ჭკუიდან მიქავა და თოლდუები, ის იყო ამ მეთაურების მოღვარი, იმისი რჩევით ატრიალებდნენ მეთაურები ყრუ ხალხს და ის არ ყოფილიყო, ამბოხებაც არ იქნებოდათ“, — მტკიცედ დასკენა თავადმა.

უფროსი მიტრიალდა, გადაშალა რაღაც ქაღალდი და აცნობა თავადს, რომ გიდელიაც სწერია სიაში.

— სულ 38 კაცი გვყავს სახეში მთელი ოდიშიდან და მათს რიცხვში ისიც კია, — ახირებულად უთხრა უფროსმა თავადს.

— განა ის სხვასთან უნდა ეწეროს? ა-კი მოგახსენეთ, ის თავი იყო მეთქი!

— ეგ არაფერია!.. იმის ამბავი ჩვენ გაუგებრად არ დაგვრჩება.

— მართალია, ყველაფერს გაიგებთ, მარა ის გვაშუხებს, რომ ისიც დაჭერილი არაა. მეთაურთავანი ზოგი დაჭერილია, ზოგს და-საჭერად დაექტო და ის რომ არხენიად დაიირება, ეს არ მოვწონს.

უფროსის ტუქებზე ღიმილმა გაითამაშა, მაგრამ რაჩე? — ეს აუხსნელი დარჩა თავადისთვის.

— ფიქრი ნუ გაქვთ, — შენიშნა უფროსმა, — რუსი მთავრობა დამნაშავეს დაუსჯელად არ დასტოვებს... სხვა საქმე ხომ არა გაქვთ ჩემთან, თავადო?

— სხვა არაფერი.

— მაშ, ამაზე გთხოვთ არ შეწუხდეთ; ისიც მალე იქნება და-ჭერილი, — უთხრა უფროსმა და გაუწოდა ხელი.

თავადი ძალია უქმაყოფილოდ დარჩა უფროსის მიღებით. ის მოელოდა, რომ ასეთს დიდს თავადს, როგორიც იყო ის, რუსი მოხელე აღტაცებით მიეგებებოდა, მიიწვევდა დასაჯლომად და დიდხანს იბასებდა მასთან სხვა და სხვა საგნებზე... შემდეგ გაიმართებოდა სადილი — დიდი სმა-ჭამა სადღეგრძელოებით, შექცევით და რას წარმოიდგენდა, თუ ორიოდე ხმელ-ხმელი სიტყვის შემდეგ ხელს გაუშვერდა გამოსამზვიდობებლად.

გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე დღე და კაწიას ნატერა შეუსრულდა: დავითი დაიბარა ოლქის უფროსმა და აცნობა, რომ ისიც მემბოხეთა სიაში იყო აღნიშნული.

— „მაგრამ, — დაუმატა უფროსმა, — სანამ ყველა მეთაურებს არ დაფიქტო და გამოძიებაც არ დასრულდება, შემძლია სატუსალოში არ ჩაგსვა, თუ მომცემ პირობას, რომ არ გაიქცევი აქედან“.

— მიღეთ სრული დაწმუნება, ბატონო უფროსო, რომ მეჩებს ამხანაგებს არსად გავექცევი, გინდ გახურებული საკირეც მელოდეს. იმაშიაც დარწმუნდით, ბატონო, რომ არც ერთი მეგრელი გლეხი თავისი სიტყვას არ ულალატებს. — მტკიცედ მოახსენა დავით მა უფროსს.

— ნუ თუ? — ირონიულად შეეკითხა უფროსი.

— ჭეშმარიტად. მეგრელ გლეხს საქუთრება არაფერი აქ; ყველა-ერი ბატონმა წაართვა, წაართვა თვით ადამიანური სახელიც. და უწინდეს და დასამცირებელი სახელი — გლეხი, რაც გლეხის, უვარების ნიშნავს, •

უნდა მაგრამ ვერ წაართვა სიტყვის სიმტკიცე: მეგრელ გლეხს სიტყვად იჯერება, თუმც საკვირველია, რომ ესეც შერჩა!

— როგორ უნდა დაგიჯერო ეს, ჩემო გიდელია? — სიამ-ლი-

მიღით შეეკითხა უფროსი, რომელსაც, გარდა იმის, რომ თვალში

მოუვიდა დავითი შეხედულობით, მოეწონა მისი უშიშარი მჟერმეტ-

ყველიბაც.

— შემძლიან მოგართვათ ერთი ლერი ულვაში.

— მერე რათ მინდა ულვაში? სად უნდა შევინახო? — სიცილით

შეეკითხა უფროსი.

— ეს საბუთია, რომ მე დავიცავ ჩემს სიტყვას.

— არა, ჩემო გიდელია, მე ულვაშს არ ვეტანები; მაგრამ, როგორც ვხედავ, შენ გამოდგებოდი ამბოხების მეთაურიალ! — ლიმილით, მაგრამ გამოსაკლელად უთხრა უფროსმა.

დავითმა ძირს დასწია თვი.

— ჰო, თქვე! ა-კი მითხარი მეგრელი გლეხი ტყუილს არ იტყვის!

— უარი არ მითქვამს, ბატონო.

— მაინც რა სამსახური ვეჭირა?

— „დიდ ვეზირს“ მეძახდნენ, — სოქვა დავითმა მორცხვი ლიმილით და თვი დალუნა.

— დიდ-ვეზირი, დიდ-ვეზირი! — ლიმილითვე გაიმეორა უფროსმაც და ჩაფიქრდა; გაიარ-გამოიარა ოთახში და ისევ დაუწყო კითხვა, მაგრამ ახლა კი მის წარსულ ცხოვრებაზე... და რა — გაიგო, რომ მას სამხედრო გამოცდილებაც ჰქონდა, შეპირდა გაშვებას და შველასკაც, რომ საჯელი არ მოეხადათ ამბოხების მოწყობისთვის, თუ ჯაშუშად, ან, როგორც ის ამბობდა, მესაიდუმლედ, დაუდგებოდა.

— არ შემიძლიან! უბრძანეთ, დამხვრიტონ!.. ეს კი არ შემიძლიან! — გულახდილად მოახსენა დავითმა უფროსს და სისხლი წამოაწვა სახეზე.

— რატომ? შენ ხომ ემდური დედოფალს, თავად-აზნაურობას? ხომ გიყვარს რუსი?

— ღიაღ, ბატონო.

— მაშ, რა არის აქ შეუძლებელი? შენი უტუც ხომ ამ სამსახურს უწევს ზუგდიდის ოლქის უფროსს?

— დასაჯერებელი არაა, ბატონო, რომ უტუ ჯაშუშად ჰყავდეს უფროსს! მართალია, ის ახლავს უფროსს, მაგრამ ჯაშუში არაა; ის ჯაშუშობას ვერ მიღებდა, ის გონიერი გლეხია!

— ჯერ ერთი, უგონო და რეგვენი არც ჩენთვისაა საჭირო და მეორეც, მე ვატყობ, რომ შენ გიმდიმს ჩემი გაგება! არ ვიცი შენ რანაირად გესმის ჯაშუშობა და მე აგიხსნი, რომ ამით შენ სამსახურს გაუწევ შენს მოძმებს.

— მე ასე მესმის, ბატონო, რომ კაცი ან უნდა იყოს ცოცხალი, ან მკვდარი. ცოცხალ-მკვდარი საძაგელია და ჯაშუშიც ცოცხალ-მკვდარია: საიქიოში მკვდრებს აკლია და სააქაოში ცოცხლებში არ ურვეია. მკვდრის სულივით უნდა გაძრეს-გამოძრეს აქა-იქ, ეშმაკივით მუცელში უნდა ჩაუძრეს კაცს, დაუამხანაგდეს; წურბელივით გულზე უნდა მიაჯდეს, უნდა მიენდოს, უნდა მიინდოს, გაუგონს გულის საიდუმლო და მერე უნდა ულალტოს, გასცეს, გაყიდოს ერთს მართალს ორი-სამი ტყუილი უნდა მიუმატოს, რომ პატრონის გული მოიგოს... საზარელია-საზარელი ჯაშუში, გველზე უფრო საზარელია!

— ჰა-ჰა-ჰა! — გადაიხარხარი უფროსმა და ღვარძლიდიანად და-უმატა: — ფილოსოფოსი ყოფილხარ — ფილოსოფოსი, ჩემო დიდ-ვეზირი! ეჭვი არაა, ძალიან დაგვემარება ფილოსოფოსობა ცივს ქვეყანაშიაც, სადაც თითაც ვერ გამოყოფ გარედ!

— ეს ხომ უკანონობა იქნება, ბატონო! რა დამიშავებია საამისო?

— ჰა-ჰა-ჰა!.. ბავშვი ყოფილხარ-ბავშვი!.. ფილოსოფოსი და-ბავშვი! თავშესაქცევი ახალი ამბავია!.. დაგიბირდი და სიტყვას ვერ გავტებ: არ ჩაგვიან საპყობილებში, მაგრამ გიცხადებ, რომ დღეი-დან მაინც ტუსალი ხარ და უნდა დარჩე აქ, ამ ჯარის კაცის ზედა-მხედველობის ქვეშ; მას უნდა გამოეცხადო ყოველ ღილა-სალამოს და ის უნდა დაიჯერო, რასაც გეტყვის; ჯიუტობას თავი დაანებე, იფიქ-რე მომავალზე... ვნახოთ, გამოიცვლები თუ არა! — უბრძანა ლოქის უფროსმა დავითს და გადასცა ჯარის კაცს, რომელმაც გარედ გაიყვანა.

(შემდეგი იქნება).

კირილე წუთისოფლელი.

